



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიანში

309-ბა „სოცუნიტის“ 1940წ.
ფანსი 12.

№7

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

სა-ფინანსო-სადასრ
ფინანსო-სადასრ
ფინანსო-სადასრ
ფინანსო-სადასრ



23/11 40



სულმნათო, შენი ამაგი ჩირაღდანივით ანთია,
 ეგ შენი ჩანგი კვლავ უმღერს ჩვენი სამშობლოს განთიადს.
 შენი ცრემლი და ნაღველი — ტყვექმნილი სატრფოს შესახებ,
 დღეს სიხარულად ქცეულა, და ისმის: ვაჟა, შენს სახელს!
 დევგმირ ამირანს — მიჯაჭვულს კავკასიონის ქედზედა,—
 ხუნდი შეეხსნა, დღეს მღერის თავის ბედნიერ ბედზედა,
 ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, შენი სამშობლო ქებული,
 უჭკნობი სახარულით გვაქვს გაშლილი, გაბრწყინებული,

ასრულდა დიდი სურვილი, ეგ დიდი ნატვრა შენია,
 შენგან სიმგაბმულ ჩანგურსა, ცრემლი აღარა ჰშთენია.
 სადაც ეკლები გხვდებოდა, დღეს იქ ვარდები ჰფენია,
 და ჩაუსვლელ მზედ გვინათებს დიდი სტალინის გენია.
 ბრძოლამ და შრომამ ქვეყანა, გარდაჰქმნა აალორძინა,
 სიკეთემ ბედნიერება—ჩვენს ჰანგზე დააქორწინა,
 სამშობლოს ფერად ბუნების სიმდიდრე ძალად ვაქციეთ
 და მით უკუდმართ წარსულის ციხე-სიმაგრე ვაქციეთ
 მთები მოვგლიჯეთ, მდინარე შევკარით ტინის არტახით,
 და უჭკნობ ბალად გაფურჩქნეთ მიწა, მწირი და პარტახით
 იქ, სადაც სთვლემდა ყამირი—გაუტეხელი, უკუნი,
 დღეს კალექტიურ შრომისა—ისმის ჰანგების გუგუნი,

ყური დაუგდე, სულმნათო, ის ჰანგი გენაცნობდა
 ის ხორცშესხმული ნატვრა—შენ რომ განთებდას
 — „სიმინდსა თონსა დავუწყოთ, ერთხმად დავძახოთ მუშური“,
 აწ ველარ სერავს ჩვენს გულსა, სევდა, ნაღველი, თუ შური,
 ჩვენია მიწაც, შრომაცა, ნაყოფიც მხოლოდ ჩვენია,
 ბედნიერია სამშობლო, მის გზას მზის შუქი ჰფენია...
 ხედავ რა დამატებები შეუტანია ცხრვრებას,
 იმ შენს მგზნებარე ჰანგებში? ის მარად გვემახსოვრება.
 შენ რომ სურვილი განთებდა, რამაც დაგთოვა ჰადარით,
 შენ რომ უხმობდი გმირებსა, შენის დაფით და ნალარით,
 გამოჩენილან ყველანი, მტერთა გულების მგმირია,
 ვინ დასთვლის დიად სამშობლოს დღეს რამდენი ჰყავს გმირია?
 დღეს ყველა შენის სახელის აწ უკვდავებით მკობელი,
 ვადიდებს, შენით ამაყობს შვილი—ღირსეულ მშობელის.
 ამბობს: ფრიდონ და ავთანდილ ტარიელს უდგას მხარშიო,
 ხმა მათი გამარჯვებისა, გაისმის მთა და ბარშიო,
 სულმნათო, მაღლი შენს გამჩენს, დასტკბი და გაიხარედ,
 საყვარლის საფლავს—(შენს საფლავს) შუქსა აფენენ გარეო,
 შენი აღმზრდელი ქვეყანა, მისი მზე, მისი მთვარეო,
 გუნდი და გუნდო ვარსკვლავი—მოკაშკაშ-მოელვარეო,
 ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი—შენი სამშობლო მხარეო.

ს. ფაშალიშვილი

„ბ ე რ მ ტ რ ი ს ტ ე ბ ი“

ნახ. დონისა



— ჩინებულია „ბაში-აჩუი“, მაგრამ ავტორის საქციელი მაინც მაკვირვებს.
 — რა მხრივ?
 — ამისთანა მასალაში სრმოცდაათფორმიან რომანს 'გამოვიყვანდი,' 20 ათას მა-
 ნეთს გავარტყამდი, იმან კი... რას იზამ! კაცია და ხანიათი.

კომპარატივის ბორაზმ...




აღმართ-აღმართ შივდილოდი შე, ნელა,
სერზედ შევდექ, კმუნვის ალი მენელა, **ბრძოლელი**
მზემან შუქი მომაფინა მაშინა, — **ბიჭლიქოთაქ**
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.

აქაკი



აგზიბია რა აგზიბია

ნახ. დონისა



ზოგინეროკობთაგანი

ვინა, მე? ჩემი ლექსის გრიადმა, შესძ რა სამყარო, მზე გააცია, სხუმისაც მიიჭვამს, ახლაც ქე ვამბობ: მე ზეკაცი ვარ, მე ზეკაცი ვარ*)...

*) აკაკის ზენიშხვა.

...სიტყვებს ვაქვს ბრახა-ბრუხი, როგორადაც ბარახანსა!

ჩეჩილის იავ-ნანა-სიტრინა

(აკაკისეზური)

იავ-ნანა ვარლო-ნანა იავ-ნანინაო, გაგასუქე ჩემო სიტრინ, წაგწიე წინაო, ქვეყნის დაპყრობის სურვილმა არ

დამაძინაო,

გავაჩაღე ომი, მაგრამ მენგრევა ბინაო. ანგელოზები დაგვიფრთხეს, ვარლო ნანინაო იავ-ნანა ვარლო-ნანა იავ-ნანინაო.

მლიქვნელობის, ცბიერობის შეკრულო კონაო,

ყური უგდე დაისწავლე ეს ჩემი ნანაო! მუშას ზურგში უნდა ჩაეკრათ, გალესე დანაო,

დაისწავლე როგორ გაფცქვანა ხალხი, ქვეყანაო,

იავ-ნანა, ვარლო-ნანა იავ-ნანინაო. სრული სამი თვე ვივაპრე დავღალე ბაგეო, წითელ დიპლომატიასთან საქმე წავაგეო, — საბჭოეთი, პირფერობით ბევრჯერ შევაქეო, მაგრამ ომის ანკესზე კი ვერ წამოვაგეო. კოვზი ნაცარში ჩამიდგეს, მიფრინეს შინაო, იავ-ნანა, ვარლო-ნანა იავ-ნანინაო.

სხვისი ხელით ნარის გლეჯა, ველარ ხერხდებაო,

აქ გვირტყამენ, იქ გვირტყამენ, საქმე ფერხდებაო,

ამერიკის დახმარება გულს მოგვეფონაო, რეინი თუ წახდებოდა, აღარ მეგონაო, მაგრამ უნდა ავიტანოთ ტყეპა ამდენიო, მერე ან ღმერთი გვიშველის, ან

ბელზებელიო, ბელმა ქეჩო სხვანაირად მოგვაფხანინაო, იავ-ნანა, ჩემო სიტრინ იავ-ნანინაო.

მალვა გემართებს, ჩვენ კი დავცქერს ოხერი მთვარეო,

ჩქარა უნდა ჩავაბნელოთ ლონდონის მხარეო, პარაშუტისტების შიშით დღე გადგას ცხარეო,

საკუთარ სისხლს გაუფრთხილდი, სხვისი დაღვარეო

ჩვენმა ძველებმაც მაგგვარად თავი იძვრინაო,

იავ-ნანა, ვარლო-ნანა იავ-ნანინაო!

გაღმომღერებელი სიმონ-ალა

*) სიტრინი ინგლისის იმპერიალიზმის ერთერთი ლაქიაა. ნიანგი ნებას რთავს, ეს ნანინა თავის თავზე მიიღონ აგრეთვე საფრანგეთის „სოციალისტებმა“: ბლიუმმა, უომ და კაპიტალის სხვა ლაქიებმა რომელნიც ჩვეულებრივ არიან ნასუფერალ „საბოძვარს“.

ენახი



ერთხელ მესიზმრა თითქოს ჩვენი თანამედროვე მწერლები წარუდგენენ აკაკის.

ზოგი იუბილიარს ესალმებოდა, როგორც წესი და რიგია, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ივიწყებდნენ აკაკის და თავის თავზე ტრაბახს ანდომებდნენ რეგლამენტით განსაზღვრულ დროს.

თავიდან წესიერად დაიწყო.

პირველად აკაკის წინაშე მოწიწებით წარსდგა შალვა დადიანი; ცოცხალი ყვავილები: საუცხოო გვირგვინი მიართვა და მოიარბებით მოახსენა:

შალვა დადიანი

ცოტნეს შთამომავალისგან
ჰა გვირგვინი, ვარდიანი,
მოგახსენებ აღარ არის
საქართველო დარდიანი.
ლალ ცხოვრებით გავჭაბუკდი
თვით ჭალარა დადიანი.

ირ. აბაშიძე

შენი პოეზიის ცეცხლმა
ჩემი გულიც ააძგერა.
ბავშვობიდან დავიჩემე,
მეც დავიწყე ლექსის წერა.
და მივდივარ აღმართ-აღმართ,
დასვენება არ მსურს ჯერა,—
თუმც მწერალთა სახლსა ზედა
სიზმრად ვნახე ეს წარწერა:
„გამოცვლილა სიყვარული
აქ ოთხმოც-და-ცხრამეტჯერა.“

დემან შენგელაია

რაბელების პარბაშის დროს
კლასიკოსთა მახსოვს დევნა.
მაგრამ მუდამ შენთან ვიყავ
ო, სულმნათო! შენი დემნა.
შენმა ნიჭმა საუკუნე
გააბრწყინა, გაანათა.
ბაში-აჩუკს რომ ავიღებ,
მაივიწყდება თვითონ ბათა.

ი. გრიშაშვილი

დიდო აკაკი, მე შენს დროს
ვიყავ განთქმული კოცნებით.
ხოტბას ვუძღვნიდი ოქროს ფეხს,
კუდრაჭებს ვრთავდი ოცნებით.
თუმც ტრფობით დღესაც ვინთები,
ქალებზე არ ვმუსიკალობ.
დღეს მე ახალი ცხოვრების
დიად ეპოქას ვუგალობ.

ლეო ქიაჩელი

მგოსანო, მეც თავყანსა გცემ
და გადიღებ,—არის ცხადი.
„ვენაცვალე აკაკისო“
გაიძახის ჩემი გვალი.

ს. ფაშალიშვილი

შენს დროს ჩემი ლექსიც ჟღერდა
დღეს კრიტიკამ განში მტყორცნა,
მახლას, მახლას! ჩემი სიყრმე
შენი ქება, შენი კოცნა.

გ. ლეონიძე

შენ ღირითულად მღეროდი,
ჩემს ლექსებს გააქვს დგან-დგარი.
შენ სავარძელში ჯდებოდი,
მე კი ვწერ ფეხზე დამდგარი.
მაინც პატივს გცემთ მცხოვანებს:
შენ, ილიას და ვაჟასა,
თქვენს ხელთნაწერებს ვდარაჯობ
ვიძახი ვაშა-ვაშასა.

სანდრო მული

დღეს, დიდებულო მგოსანო,
განახლდა ქვეყნიერება.
და აყვავებულ სამშობლოს
მეც ვუმღერ, მეც მემღერება.
ლექსების გარდა, დავწერე
პიესა „ბედნიერება“,
მაგრამ არ იქნა ვერ დადგეს,
თეატრს რა დაეჭერება!

კ. გამსახურდია

აქ ბევრი მავან-მავანი
ბელეტრისტობს და პოეტობს.
მაგრამ ნამდვილი მწერალი,
მე ვიტყვი, თორმეტს არ ჰქტობს.
ამას ვაცხადებ აშკარად,
არა ქარაგმა მითებით,
გაქსუებული ბევრია,
ჩამოსათვლელი თითებით.

ს. შანშიაშვილი

ვაუკაცობის გამომჩენი
ერთხელც არ დამიკუთია.
ასი პიესა დავწერე,
ერთხელაც არ დამიკუთია.
ვიფიცავ: ჩემი თავის მზემ,
ჩვენში მწერალი ხუთია.

ალიო მარაშვილი ერეკლელი

გიგლირთქვა

საქართველოში პოეტი
მე ვარ და... გალაქტიონი,
წყალს წაუღეკავს სხვა ყველა—
ადიდებულა რიონი.
ჩვენ, პოეზიის ფალავნებს,
არ შეგვადაროთ ჯაბანი,
შეურცხვეს ვაუკაცს უღვაში,
თუ ვერ გასწყვიტოს ჭაბანი.

ს. ჩიქოვანი

ლექსში უნდა სიბრძნე იყოს,
ლექსალობით ანაქდერი.
თუნდ გაძაგოს, რას დაგაკლებს
მაშინ ლოკალური მტერი.
თუ გთარგმნიან, თუ გაქებენ,
შენც თუ არხეინად მღერი:
„აშო ჩელა, სი ჩერჩელა...“
„პოპოუნა, ჰერი ჰერი...“

გალაქტიონ ბაბიძე

თუმცა ლექსი ბევრს უჩმახავს,
უმსგავსო და შორი-შორი,—
საქართველოს მგოსანთ მეფე
ერთი ჰყავს და არა ორი.
თავი ყველას ნუ ჰვთნია
მელექსეთა დიდთა სწორი.


ისაკო გირიანაშვილი

რა მაგრა-მაგრა იკვეხნით,
ვართო ისეთი, ასეთი.
მაშ თქვენზე ხშირად რად ბეჭდავს
ჩემს გრძელ-გრძელ ლექსებს გაზეთი.
ლექსის თქმაში ვინ მაჯობებს
გინდათ დღედლაძე ვთესო.
ამ სიტყვებში მემოწმების
კრიტიკოსი ქლენტი ბესო.

ჩაწერა გრიგოლ ცაცხლაძემ

კომეზია და კროზა

ნახ. დონიხა



— აკაკის ლირიკას რომ გავეცანი, ლექსების წერას თავი გავანებე, ვიფიქრე უკეთესს ვერ დავწერ მეთქი და პროზას მოვიკიდე ხელი.

— როგორც ხჩანს, თქვენ აკაკის „ბაში-აჩუკი“ ჯერ არ წავიკითხავთ.



აკაკი რომ იტყვოდ: „სინამარცხადი...“ —სწორედ ისეთი ამბავი შემეშთ. ხვა. აკაკის საიუბილეო კომისიის სხდომაზე მიმეჩქარებოდა, ფიქრში დიდი მგო- სნის ს აიუბილეო ზემის გვემას ვითვალისწინებდი.

—რა ბედნიერი იქნებოდა აკაკი, — ვფიქრობდი მე, — ამ ამბავს თვითონ რომ მოსწონებოდა. მისი ღვაწლის დაფასება თვალთ ვნახა და დამტკბარიყთ...

—ყმაწვილო, ეს რომელი ქუჩა იქნება ხომ ვერ მეტყვი? — დაარღვია ჩემი ფიქრი ვილაცას ტკბილმეფლერმა ხმამ.

—ეს აკაკი წერეთლის ქუჩაა, — მოკლედ მიეუფე და ფიქრს დაუბრუნდი — აკაკი წერეთლის? — ცნობისმოყვარედ შემეკითხა იგივე ხმა.

—დიად, აკაკი წერეთლის, თქვენ რომელი ქუჩა გნებავთ? ამის პასუხად, ტკბილმეფლერმა ხმამ წარმოსთქვა:

ლარიბ ლატაკს და ბნელში მყოფს აქამდე, ვინ ამინთო ამ ბოლოდროს ლამპარი!

აკაკის ლექსის ამ ორი სტრიქონის გაგონებამ კიდევ უფრო გამომარკვია ფიქრებიდან, შევხედე და საოცრება დავინახე: ჩემს წინ აკაკი იდგა.

—სულმნათო, მაღლი შენს გამჩენს, — მიემართე მე, — ეს ხომ... — ეს ხომ დაუჯერებელია, არა? — შემაწყვეტინა მან, — დამწვიდდი, ხომ გახ- სოვს ჩემი მოთხრობა — „სიკვდილი“.

—მასოვს, და განა მარტო მე? — მას ხომ მთელი საქართველო იცნობს როგორც ქართული სატირის შედევრს.

— ისიც ხომ გახსოვს, როგორის საშუალებით შევეძელი „სიკვდილში“ ამ ქვეყნიდან იმ ქვეყნის ხილვა?

— დიად მასოვს, — ახლაც ის ხერხი გამოვიყენე იმ ქვეყნიდან ჩემი ცა-ფირუზ ხმელეთს ზურმუხტის სანახავად.

— დიდება შენს ზებუნებრივობას.

შენ, მსგავსად ცისარტყელისა — ვერს მოვლენილხარ განგებით...

როგორ მოგწონს შენი საქართველო? აკაკიმ ოლიმპიური თავი ოდნავ მაღლა აიღო და გრძნობით აღსაყვამ წარმოსთქვა:

..ახლა კი ვხედავ არ წამხდენია მე ჭირნახული...

— შემოვიარე ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტი, განახლებულა, ფენიქსებრ აღდგენილა ჩვენი ქვეყანა.

სიხარულმა შეგვის ალი გულში მკრა და ამიძგერა...

მინდოდა საყვარელო თბილისო, შენი ნახვა, ჩემგან ხოტბაშესხმულა მთა- წმინდავ, თავდადებულთა სავანე!

წამძლია სულმა და გულმა შენს ნახვას დავგჩქარეო...

—აი, მოველ, დაჯიჯარ და თვალებს აღარ ვუჯერი, ყველაფერი გარდაქ- მნილი და გაფურჩქენილია, გრიშაშვილის თქმისა არ იყოს: თითქოს მაკრატ- ლით გადასჭრეს ქუჩაო.

ლარდაკრული და წალკატში ჩამჯდარი თბილისი აღარ მეცნაურება, — ამიტომ იყო, რომ შეგვეკითხე ამ ქუჩის შესახებ, საით მიეჩქარები ყმაწვილო?

— შენს საიუბილეო კომისიის სხდომაზე მივდივარ.

— ჩინებული შეხვედრათა, მეც ეგ მაინტერესებდა, — გზა მიჩვენე და წამოგ- ყვები, ფიქრი ნუ გეჭნება, შენ მართალია მხედვე, მაგრამ სხვებისთვის უჩინარო ვიქნები.

მე მოჯადოებულებით გავუძებ წინ. საიუბილეო კომისიის სხდომის ადგილზე ნახევარი საათის დაგვიანებით მივედით. ადგილზე მაინც არავინ იყო.

— გათავდა? — შევეკითხე დარაჯს.

— რა გათავდა?

— სხდომა გათავდა?

— როგორ გათავდებოდა, როცა ბირველ საათზე იყო დანიშნული და ახლა კი მხოლოდ ორი საათია. განა შეიძლება რომ ჩვენებური კრება ორი საათით მაინც არ დაგვიანდეს?

აკაკის ბაგეზე ღიმღილმა გადაიარა თითქოს იკითხა:

ისევ გვაქვს მამაპაპური წესი და ჩვეულებათა?

— მაშ, რაკი ასეა, დროს ნუ დაგვკარგავთ გაეიაროთ ქალაქში, ზოგი რამ ენახოთ სხდომის დაწყებამდე, მოვაწერეთ მოსულას.

გამოვეყვით რუსთაველის პროსპექტს — გზას ძლიერ მოვიკვლევდით, რადგან ახალგაზრდობა კალიასავით მოსდებოდა ქუჩას და აღმა — დაღმა დასეირნობდა

— დღეობა ხომ არ არის დღეს? — შემეჩქრა აკაკი.

— არავითარი.

— მაშ რაა ხალხი ამ შუაგულ სამუშაო დროს ქუჩაში რომ გამოდებილა?

— ეგ, მგოსანო, ჩვენი სტუდენტობაა, ხომ მოგეხსენება? — აკაკი უკვე ებოდა და...

— მაშ ლექციების დროს სეირნობენ? — განცვიფრდა მგოსანი.

— არა, ყველა სტუდენტი რომ სეირნობდეს, ქუჩა როგორ დაიტყვედა? უმეტესობა მეცადინეობს. მაგრამ რაკი ძნელია სიარული, ჩავსდეთ ავტობუსში...

— მეგრე, მაგდენი დრო სადა გვაქვს, რომ ავტობუსს გუცადოთ? გამი- კვირდა, რომ დიდ მგოსანს ასეთი უმნიშვნელო ამბავიც სცოდნოდა. ამასო- ბაში რუსთაველის ძეგლთან მივედით. აქ ვიხილე მეორე საოცრება: უკვდავი შო- თა იდგა თავისი მომავალი გონიერების კვარცხლბეკთან და თავისი ძეგლის გა- მომკვფით მოქანდაკეს ეუბნებოდა — დაგიღრეჯია ოსტატო, მაგრამ რათ წითლდებ- ბი, რა ვუყოთ, რომ დამიგვიანე ძეგლი, შეიდას ორმოცდა ათი წელიწადი თუ ვიცავდ. ცოტაც იქ იყოსო.

შოთა და აკაკი მიესალმეს ერთმანეთს, საუბარიც უნდა დაეწყოთ. მაგრამ რადგან დრო ცოტა იყო, შოთას გამოვეთხოვეთ და სახელგამისაყენ გავსწიეთ.

სალაროს წინ რამოდენიმე პატივცემული მოქალაქე იდგა. ერთი მათგანი აკაკის სურათს შესცქეროდა და აკაკის ლექსის ნაწყვეტს ამბობდა:

...მონხვალ და საწველს ამიგებ, არ დამამადლი წველასო.

— რას უტკი პიძენ? — შეაწყვეტინეს მას სხვებმა.

— ჰონორარი მეგრება, რაღაც ხუთიოდე ათასი მანეთია და მიგვიანებენ სხვების მეცოდინება, აღარ დაეწერ და ისაა.

— რის ჰონორარი გერგება?

— აკაკის ნაწყვეტისაგან შედგენილ სახელმძღვანელოსი.

— შეკაცო, ვინც ის ნაწყვეტი დასწერა მას არ მიუღია ჰონორარი და.. შენ რომ ჩემსავით გეშრომნა და ჰონორარი დროზე ვერ მიგვლო, მაშინ რაღას ტყოდი?

— შენ რაღაში გერგება?

— ილიას რედაქტორობაში..

— შენ? — შევეკითხა განაპირას მდგომი ულვაშებგაპარსული — თმაგაჩჩილს.

— მე „ვეფხისტყაოსნის“ ჰონორარი მეგრება...

მაგრამ ამ დროს ბანკიდან დაბრუნებული მოლარე გამოჩნდა და მოსაუბ- რენი უტბად როგში ჩადგნენ. რადგან მე და აკაკის არაფერი გვეგრებოდა, უკან გამოვბრუნდით. კიბეებზე აკაკიმ თავისი ლექსის ეს სტრიქონები გაიხსენა:

და იქ აპირებს მოქვასა, სადაც არ დაუთესია...

მწერალთა კავშირში შევედით. იქ ერთ კუთხეში აკაკის იუბილეზე დასას- წრებ ბილეთების განაწილებაზე იყო წვეწვა-გლუჯა. მეორე კუთხეში კი მასლაა- თობდნენ:

— როგორ გგონია ახლა შენ, — ამბობდა ერთი პოეტ-დრამატურგ-ბელე- ტრისტი-ნოველისტი, — ახლა რომ აკაკი ცოცხალი ყოფილიყო, აქტივში არ იქნე- ბოდა?

— რის აქტივში ყმაწვილო?

— მწერლების აქტივში.

— აქტივში რაფერ იქნებოდა. კაცი იძანდა „შუააკი ვარ უბრალო“. ზოგიც აკაკის შესახებ „მოგონებებით“ ართობდა სხვებს და ამ საშუალებით სარ- გებლობდა თავისი „დიდი ავტობიოგრაფიის“ გასაცნობად.

— „აკაკი ჩემთან მოვიდა“, „აკაკიმ მკითხა“, „აკაკის ფურჩი“, „აკაკი აღ- ტაცებული იყო ჩემით“ და სხვ.

აკაკი ღიმღილით ისმენდა მწერლების ტკბილ საუბარს ლიტერატურულ სა- კითხებზე, სტკბებოდა მათი საქმიანი მსჯელობით. უხაროდა, რომ ასე შეჭყვარე- ბიათ ერთიმეორე და პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს ნაწერებს.

— ახალი ფუნაგორია ახალი ფუნაგორია, — გაიძმა ამ დროს ვესტიბული- დან ამომავალი თმაგაჩჩილი ახალგაზრდის ხმა.

— ეს ფუნაგორია რაღა?


— ეს გახლავთ ახალი პოეტური ხერხი — უფროსებისადმი თავისი სიმპატი- ების გამოსამყლავებლად.

— ჩინებულა. მაშ ეს ის ახალგაზრდობაა, რომელიც.. აკაკის სიტყვის თქმა აღარ დასცალდა, სამდივნოსთან ოფლში გაღვარული გიორგი ლეონიძე გამოჩნ- და და საყვედურით შეესახა შალვა დადიანს, ირაკლი აბაშიძეს და სხვებს:

— ყმაწვილებო, ასე როგორ შეიძლება? — წელში გავწყვიდი ამ აკაკის იუბი- ლეს მზადებაში... წამოდით, სხდომას მაინც დაესწარათ...

მთელი აქტივი ამოძრავდა, ნელნელა დაეშენენ კიბეზე და გასწიეს სხდო- მის ადგილისაკენ.

— ახლა ჩვენი დროც არის, — შითხრა აკაკიმ, — წამოდგა და გავსწიეთ მისი იუბილეს მოსამზადებელ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.



მართლაც აჯობებდა

დ. ანთაძე: (იუბილეზე თაიგულებით ხელში მისულ მწერლებს)—ვარდთა თაიგულებისათვის დიდ მადლობას გიძღვრით ქუთაისის თეატრის კოლექტივი, მაგრამ ამ თაიგულებთან ერთად პიესათა თაიგულებიც რომ მოგერთმიათ, კიდევ უფრო მეტად მადლობლები დაგრჩებოდით.

ნიანგი უზაჰნის თაიგულს

(ქუთაისის თეატრს და მის მებრძოლ კოლექტივს)

სავარდო და სამაისო—მიტომ მიყვარს ქუთაისი,
რომ ახალი ცხოვრებისთვის მახსოვს მტკიცე ბრძოლა
მისი,
რომ წარსულში—როს წყვილია თავს დაგვფრენდა,
როგორც ძერა,
მომავლის რწმენის ცეცხლსა ადვილებდა მისი კერა.
მის ქუჩებში დევგმირულად გაუვლია ბევრჯერ სტალინს,
როცა იგი რაზმს უძლოდა—დიად დროშით გამოყვანილს.
წულუკიძის მგზნებარე ხმა აქ მრავალჯერ დარხეულა,
და აკვანიც მელბომენის აქ ბეჭითად დარწეულა,
და ეს კერა კულტურისა, ეს თეატრი ჩვენი ძველი,
ბევრჯერ იყო მებრძოლ სიტყვის ტრიბუნა და
საფუძველი:
მესხიშვილის, აბაშიძის, კოტე მესხის წრფელი გული
აქ იწვოდა ხალხისათვის ჩირადანად ანთებული,
შავბნელ წარსულს ამ სცენიდან უანხავს და შეუტყვია,
რომ მებრძოლი ხალხის სიტყვაც ისე ჰგმირავს —
როგორც ტყვია!

და როდესაც ხალხის ბრძოლა გამარჯვებით
დაგვირგვინდა,
როს სტალინის დიდი სიბრძნე ჩვენი ხსნის მზედ
ამობრწყინდა,
მის სხივებქვეშ ეს თეატრიც—დიდ კულტურის
დასაყრდენი
აუვავდა და აღორძინდა—ვით სამ მობლო შევავის ჩვენი,
და ჭეშმარიტ ხელოვნების მაღალ დროშის ზე ამტანი,
მშობელ ქვეყნის განახლების სბრკეა და ჩირადდანი!
და ეს დიდი მონაგარი, ეს ნაყოფი გმირობისა—
კვლავ ახალი გამარჯვების მომცემია პირობისა.
მიტომ არის, რომ დღეს, თქვენთან მეც სხვა შვებით
მიძგერს გული,
მიტომ მომაქვს თქვენთან ჩილდოდ სალაში და თაიგული.
მასში შოთას სიტყვები მაქვს ჩაწნული და ჩაკლაკნილი.
— შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე მისგან
ქმნილი
ნიანგი

საქართველო - ქვეყანა დროშის



საბოტაჟის საპროტესტო აქტივობის შემდეგ

მომხდელი სხვებიც მერი მინახეს,
მაგრამ წამსვლელი-კი აღარაინ...



კოლმეურნეთა შესახებ
ხელო-ხელ კრულ გადახვეული,
ფერხულხატი მიმდრიან...



შუის პროკარანდისტი

ამდგარა, დღის სოფლიდან სოფლად,
წინ მიუძღვება პატარა ქალი...



სოფლის ჯაღი

1. შეიფხობრაღა მესამა...
2. და იძღვდა თავი დაბარა...



ფლიკინის შესახებ

უი, გოჟაჟა, დამიდგეს თვალი,
რა უცნურად აღდევებულხარ!



ჯოჯობის უხეშ-ქვიფ-გოჯობის

ხელონი თადებოდა
მანქანი ნაღვრქელი...



სასაფლაოს შესახებ

(ერთ ადგილზე ითხ მკვდარს რომ მარხვენ)
საუფარის საფლავს ვერძლი,
ვირ ვნახე, დაკარგულიყო...



მწიგნობართუცესობა

მას მკინდა მინიჭებული... *)



გამფლანგველი

ვახუშტის ჩიო მხეში,
განძირდი, მღუღარ ფიხრიალობ...



ავტობუსის შესახებ

— დიავანეს, ჭერ არხად სნან

*) ეს სტრიქონები აკაცის ერთ ჩვენს თანამედროვე მწერალ-ზე მკინდა ნათქვამი, მაგრამ გვიარ არ დაახებულა, რადგან დანარჩენი მწერლების უწინაა.

აკაკის ჟურნალი

ქართული
ხალხური

(მკთი თვალის გადასვლით)

დიდი და მრავალმხრივია დიდებულ აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობა, მაგრამ ყველაზე უძლიერესი მაინც ორი შტოა ამ მემკვიდრეობისა. ლირიკა და ჰუმორი. ეს უკანასკნელი, ძალიან ხშირად, სატირამდე მალდებდა.

თავის ჰუმორისტულ ნაწარმოებებში აკაკი პოლიტიკურ და სოციალურ მოტივებს მისდევს და ყოველდღიურ მოვლენებს ენაშუარება თავის ფელეტონებით, სალალობო ლექსებით, რომლებიც თითქო პირდაპირ საესტრადოთ, სცენიდან წარმოსათქმელ მასალად არის გამიზნული ასეთივე მისი კარგა მოზრდილი ნარკვევებით თუ მოთხრობებით.

ზოგჯერ თვით სათაურები იძლევა ჰუმორის ართმატს. მაგ. „კრიკ და ხრიკ“, პეტერბურგში მომხდარ ქართველი დალაქის თავგადასავალი, „ტვინმისტერი“ და განსაკუთრებით მისი ცხელცხელი ამბები „ბოღვა“ და სხვა ასეთი. მაგრამ ზოგჯერ სრულიად უბრალო სათაურის ქვეშ: „ნადირობა“, „სიკვდილი“, — „პატრიოტის აღსარება“ და სხვა, დიდი ჰუმორისტული შინაარსის მთავსებული, იმავე დროს ავტორი სატირულ ნესტარს იმარჯვებს ხელში.

როგორ მსუბუქად ქილიკობს „ჩვენი ბანკის“ არჩევნებზე, დირექტორს რომ ეძებენ ასარჩევად და ათქმევენებს ამომრჩეველებს:

„არა, ეს ავირჩიოთ
ბანკის დირექტორადო,
რადგანაც მისი ჭება
გვსმენია ჩვენ კორადო!“

და ამ უბრალო სიტყვებში, სახუმარო ჩამოკრულებში, ნათლად მოსჩანს იმ დროის საზოგადოებრივი დამოკიდებულება მაშინდელ, დიდად მიჩვეულ დაწესებულებებისადმი, სადაც შეუძლიან აუწონელ-დაუწონელად, მხოლოდ ჯანაგონობით, აირჩიონ პასუხსაგებ თანამდებობაზე სრულიად უცნობი პიროვნება. ხშირად ასეთი საჰუმორო ლექსები თითქო სასიმღეროდ აქვს დაწერილი. მაგ. გადაჯვარებულ ქართველ ქალის გარშემო მისი ცნობილი ლექსი:

„სილამაზით ბეგელა ხარ ხატისა,
მიხვრა-მოხვრა და ქცევა გაქვს კატისა,
დღესი ათჯერ შეიცვლები მარტივით,
მისთვის გეტრფის გული ანდამატისა!“

და მღეროდნენ კიდევ. ესეც ერთი საკვირველი თვისება აკაკის საუცხოო ნიჭისა, რომ გასაკილაგი და გასაკიცი ლექსებიც კი ისეთი მოხდენილი იყო თავის არტისტიზმით და ისე სადა და თითქო მსუბუქი, რომ ამღერებდა ხალხს.

ასე მღეროდნენ თავის დროზე „ორმოც კოკიან კურს“, რომელიც ვიღამაც ნახა და „რაც ჩასახა“ „კურსი იგი ამოსახა“. რომ ეს კური ეხლანდელ ყმაწვილებსაგვაგონებდეს, „რასაც კი გაიგონებენ. ყვირინ დალღაცოვლები“ და სხვ.

აკაკი ძალიან ცოცხლად გრძნობს თავის დროის განკერებებს და კარგად იცის, რაც არის მის დროში გამეფებული:

„კუჭი გრძნობს და კუჭი ფიქრობს ჭაბრაკით ქვენიური, კუჭზე არის გამობებული ქვეყნის თვალი ქვეყნისყური.
მშვენიერად იცის, რომ ცხოვრება კერძო მესაკუთრეობაზე აგებული და ამიტომაც პირადი „მე“ არის გაღმერთებული. ყველა მისწრაფის ფულის მოსახვეჭად, ყველას უნდა ჩინ-ორდენები მიიღოს, მაშასადამე, საზოგადოებაში მიჩნეულ იქნეს და პატივცემული.

საზოგადოებრივ „დაპარვა გონი“, „ჩინი შეეჭნა კულის საწონი“ და მის გულში შურმა დაისადგურა: „მომბისა ნაცვლად შური და შური“ და აკაკი გვეუბნება, რომ მდაბალი გრძნობით აღტკინებული, თურმე ზოგიერთი ასე ლოცულობს:

„პირმოთნობის, მოლაღატობის
და ორპირობის მომბატო ნიჭი,
რომ ვიმოქმედო ჩემს ქვეყანაში
და თანდათან წინ წავადგა ბიჯი.“

ასეთ გარემოცვაში აკაკი ხედავს, რომ მეგობარი დაუნდობელი ყოფილა, სატრფო გაუტანელი, მოსამართლე უჯულო, მოძღვარი ანგარი, მონელე ბიურთკრავი, მექრთამე, ყოყლოჩინა, ცენზორი (ტვინმისტერი) კი ტვინის გამომზრელი, ყოველივე თავისუფალი აზრის დამხშობი.

ადვოკატები რყვნიან ხალხს თავიანთი ყალბადანლობით, ვაკრები ამე ხალხის მყვლეფელდობაში არიან ჩაფლულნი, იუდებით გაიმსო ქვეყანა. და ერთ დროს თითქო ყველაფერს ამას აჯამებდნენ, შემდეგს ამოიკვნივებს:

„გამოიცვალა ქვეყანა,
ჩარხი უკულმა ტრილეებს,
ვირი კოკბ ვარდ დაჰგალობს,
ბუღბული ვირებრ ღრიალებს.“

ქურდები სკრიან სამართალს,
მართლებს უყრიან ბორკილსა
და ქვეყნის მტერი-იუდა
დასციენის მამულიშვილსა.“

ბრიყვი და უსწავლელები
თავში უდგანან კვიანებს...
ვაპქრეს ეს ჯამი ბარემ-ლა,
ნეტავი რას იგვიანებს?“

ასეთივე ძლიერია აკაკი ჰუმორისტულ პროზაშიც. გაიხსენეთ მისი ფელეტონები ვაზ. „დროებაში“, მისი განთქმული „ცხელ-ცხელი ამბები“, რომლებიც თავის წერის მანერით, სიტყვათა მახვილობით და მწვავე შინაარსიანობით უსათუოდ უტოლდებიან ჰაინეს ცნობილ წერილებს.

თუნდაც მისი მეორე სერია ფელეტონებისა „ბოღვა“, სადაც, როგორც პირველში, საუბარია მიმდინარე „საკირ-ბორატო საკითხებზე“, (ილიას ფრახა). აქ არის ბანკის საქმეები, ქართული თეატრი, მთავრობის რომელიმე განკარგულება, პოლიტიკური მდგომარეობა, რამდენათაც ამას „ტვინმისტერს“ შეაპარებდა. მაგალითისათვის ერთნელ ჰქონდა „ცხელ-ცხელ“ ამბებში“ მოყვანილი, რომ წრეულს უცნაური წელიწადია „1881“-ო და სულ ერთია თუ გინდა წადმა წაიკითხე, თუნდა უკულმა, როგორც არ უნდა შეაბრუნო, მაინც ერთი და იგივე გამოდისო. ე. ი. ჩვენი დრო ისე დამყაყებულა და ისე მდორეთ მიმდინარეობს, რომ არც ერთ ახალ წელიწადისაგან არც ერთ სიკეთეს არ უნდა აოველოდეთო. რაც უნდა შეაბრუნო, მაინც ერთნაირია ჩვენი დროვო. მაგრამ, გახსენებახე - აი სწორედ ამ წლის მარტში მოკლეს ალექსანდრე მეორე და აკაკიმ მაშინვე ასე იმღერა:

„დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ტიკტიკითა შემომხანა.“

„გაზაფხული, გაზაფხული!“
გულს იმედი ჩამესახა.“

ელოლის ქნარებით იყო აკაკის ჩანგი მგრძნობიარე. უბრალო, საუფგეშო სიოც კი გამამხნეებლად ააქვდებდა.

მხოლოდ აკაკი მარტო მის ფელეტონებში არ მოსჩანს დიდ ჰუმორისტად. მას აქვს სხვა კარგი მოზრდილი პროზაული ნაწარმოები. სადაც მძლავრად მოსჩქეფს აკაკის უბრტო ჰუმორი: „ქართული ფულის თავგადასავალი“, „გშმაკები“, „პატარა ტარიელიც“, „კუჭია“ გალექსილებში „ნაცარქვეია“, „ბოღვა“ და სხვ.

თითქმის არც ერთ ამ თხზულებათაგანში არ არის ისეთი, რომ ან რაიმე კომიკური მდგომარეობა არა ჰქონდეს აწერელი, ან ერთი ორი ფრაზა მაინც ჰუმორისტული.

თავის ნაწარმოებში აკაკი ხშირად თავის თავხედაც მოგვითხრობს და ამქვანებს სასაცილო, მაგრამ იმავე დროს სატირალ დამოკიდებულებას მისდამი მის მტერ-მოყვარეთა.

ავიღოთ თუნდა მისი „საავადმყოფოში“. თქვენ გახსოვთ, რომ აკაკი საავადმყოფოში წევს, მას თან მოდიან მინაგელები, თანამგრძნობები და უსურვებენ გამომრთელებს და დღეგრძელობას. ზოგი სამას წელს უნატრებს სიცოცხლეს, ზოგი ზუთასს და ზოგი ათასსაც. „ასზე ნაკლები არავის გაუმხელიაო“ ამბობს აკაკი და შემდეგ აღწერს თავის სიზმარს, როგორ მოხვდა საიქიოს, როგორ დაიბარეს ავადმყოფის თანამგრძნობები და მთავარ ანგელოზმა როგორ განოუცხადა ყველას, რომ „ისმინა უფალმა ვედრება თქვენი და მოგანიკათ სავედრებელი... ის წლები რამდენიც თქვენ ავადმყოფს უნატრეთ მოგენიკათ თქვენდა განსაკარგულებლათ და როგორც გნებავთ, ისე შეგიძლიათ მოიხმაროთ შეგიძლიათ ამ წლებიდან თქვენდა გუნებისათ ავადმყოფს გაუზიაროთ. აბა შენ სთქვი ათასის მინატერელოო და... აი იქ იწყება.

ყველამ სხვადასხვა მომიხუხებით, დიდი სოფისტიკით უკან დაიხიეს და ერთი წელიწადიც კი არ გაუზიარეს ავადმყოფსა. ვინ არ იყო აქ გულითადი მეგობრები, დაძმები, ცოლი, მამაც, მხოლოდ ერთმა დედამ გაუზიარა შეილს მისდაწილად დარჩენილი ათი წელიწადი ასეთია აკაკის ჰუმორი ადამიანთა გაუტანლობაზე. მექრთამეობაზე კი აი როგორ „აღსარებას“, ათქმევენებს „ქველ ჩინოვნიკს“.

ჩინოვნიკი გვიამბობს:
— ერთხელ ორი მომიჯარი მომადგა: მტყუანმა ცხვარი მომართვა და მართალმა კი ხმაც არ გამცა. ვუთხარი საქმეს „აბრუნდი“ და დავაჭხრაყე. შეუტყვია მართალს, რომ ვილუპებო და მთაბლავლა ჩემთან კრელი ძროხა. ეჭ, რაღა უნდა მექნა? დავანებე თავი „აბრუნდი-ს“ და შეუდექი ისევ „აბრუნდის“. აარ კი გაუგო მტყუანსი მოვიდა და მკითხა:

— ჩემი ცხვარი რასა იქსო?


— შენ ცხვარს რა ამოპკრა და გვერდი შეხალა იმ ძროხამ, რომელიც შენმა მომიჯარმა მომართვა.

— უჭ, მაგას ნუ ინებებთ, ღმერთი გადღვერტელებს, ოღონდ იმ ცხვარს უაქიმეთ და საეკიმო ჩემთან მიიღეთო; ამოიღო ორი წითელი და მიჩითა ხელში.

— ამისთანა ბევრი ბედი მომდგომია კარზე და მეც წიხლად არ მიკრავს.

— ერთხელ ბობოლამ ძალიან საქმე მომანდო და მეც, რომ უნდოდა, ისე წავიყვანე. მეორე დღეს შემხვდა ბობოლა და სიცილით მოთხრა:

— მოია პორტენიაო! ჯიბეში ხომ არ ჩაიტენიაო!?



სოციალ-დემოკრატები:—ბატონო კაპიტალ, ბატონო კაპიტალი ნახუფრალინათვის გმადლობთ, ნება მიბოძეთ, თქვენს ფეხს
ერთხელ კიდევ ვეამბორო.

(იმ სულგანათლებულს ლექსებით ლაპარაკი უყვარდა...
რუსთაველი სულ ზეპირად იცოდა).

„ჯიბე ვუჭენე და მოვახსენე:

—ვაშა ბლადროდია-თქო! ცარიელი როდია-
თქო!—გამიციან და სადილად დამპატიო...

„...ამგვარად გაწვრთნილმა წამოვიწყე ხელი, შევი-
ძინე მამულები, ავაშენე სახლი, გავასესხე ფულები და
ხალხის თვალში გაბობოლავებულმა თავი ცამდი ავიღე“.

გახსოვთ „კუჭზე“ რა სთქვა თავის ადგილას პოე-
ტმა. ეს იმის ანარეკლია. მაგრამ აგერ ცრუ-პატრიო-
ტებზე რა აქვს ნათქვამი:

„ვინ სთქვა, რომ მე პატრიოტი არა ვარ? მიუ-
ჭარავს... ეტყობა ან სადილობამდის მოთრეულა ჩემთან
და ან ნასადილევს მოხეტებულა... უდროოდ უფლია!...
აბა, თქვენი ჭირიმე, სადილობამდის, როცა მუცელი
ცალიერია, ვისა სცალიან საპატრიოტოდ და ან ნასა-
დილევს, კუჭდამძიმებულზე, რაღა დროს პატრიოტო-
ბაა?

„არა... იმ დროს მობრძანდეს, როდესაც მე, მამა-
პაპურად ფეხმოთხმულს, წინ მიფენია ქართული სუ-
ფრა მისის სასადილო სამკაულებით: ცხელ-ცხელი ბუ-
რები, ცივი ღვინო, აჭა-იჭ ახირებულად მოყრილ-მო-
ყრილი მწვანელი, ახალი თევზი, მოთალი, ზედ ტარ-

ხუნით თავწახურული, საიღამაც ის შეჩვენებული ძრო-
ხის მოსაკითხი ისე გამოიყურება, რომ თითქოს პირს
სიცილით უუბნებოდეს: გამილე კარები, კბილები მა-
ჩვენო... აი დრო. როდესაც ჩემს გულში იღვიძებს
პატრიოტული გრძობა და ჩემი ნაციონალური მადა
კუჭში იღვამს სამეფო ტახტსა! მაშინ მეც მომწონს
თავი ქართველობით!“

აქ თქვენ უკვე გრძობთ სატირიკოსის შაშარს.
ყველა აქ მოთხოვნილი თითქო ანეკდოტური ამ-
ბებია, მაგრამ ამ ანეკდოტებში კარგა ხასიათდება იმ-
დროინდელი ზნე-ჩვეულებანი. წესრიგი, სწავლა-განათ-
ლების საქმე და სხვ.

ამ მზრივ შესამჩნევია შედეგები აკაკის ჭუმორის-
ტიკისა. „სიკვდილი“.

მთელი მაშინდელი განსაკ. ინტილიგენციის მცო-
ნარობა, პირმოთენობა, უსამართლო ჭირდვა, კუდა-
ბზიკობა და უნიათობა დიდის სიძლიერით აქვს გად-
მოცემული და იძლევა კვლავ გაშარებულს, მაგრამ
გულის მოსაფხან სურათს.

ამგვარად დიდი აკაკი ისეთივე ძლიერია თავის
ჭუმორსა და სატირაში, როგორც ლირიკაში. ჭუმორს
პირველ ალაგას იმიტომ ვიხსენიებ, რომ მთლად „პირ-
წავარდნილი“ სატირიკოსი, აკაკი ჩემის აზრით, არ

არის. ის მაღლდება სატირამდე და ამსიმაღლეში ზოგ-
ჯერ სჯობნის თავის ევროპელ თანამოკალმეებს.


აკაკი მეტად ნიჭიერია ამ ჭუმორის მოზარებაში
აკაკი მუდამ მოსდევს პოლიტიკურად და საზოგადოებ-
რივად გამახვილებულს, მწვავე საკითხებს. აკაკის ჭუმ-
ორი იმდენად შესდგამს, რომ ზოგჯერ წმინდა ლირი-
ულ ლექსებშიც მოსჩანს მისი „მწარე ღიმილი“. მისი
მაზეილ-სიტყვაობა ხომ უფკვლა და წუნდაუდებელი

მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენ არ ვიცით ასეთი დია-
ბაზონისა და ასეთი ნიჭიერების სხვა ჭუმორისტი სა-
ქართველოში.

მე მგონი აკაკია მამამთავარი ჩვენი უწინდელი
ჭუმორისტიკისა. მთავარი გზები მის ფართო ეზოდან
გამომდინარებენ.

თვით განთქმული სოლომონ ზურგილიძის გარდა-
ცვალება ჩკრთალი ანარეკლია აკაკის „სიკვდილისა“.

აკაკი ერთად-ერთია ჩვენში ამ მზრივ და ჩვენი
ჭუმორისტიკის ისტორია მას გვერდს ვერ აუჭყვევს.
როგორც ამ დარგის ფუძემდებელს და უძლიერესს
წარმომადგენელს.



— არ მომწონს აკაკის შემოქმედება. 1881 წელს დაწერილ ლექსში „გაზაფხულში“ ერთ სიტყვასაც კი არ ამბობს საგაზაფხულო თესვის სტახანოველების შესახებ.

„ს უ რ ი კ ო ს“ ხ მ ა ზ ე

„ძება“ პირველი

ავტოს ვეძებდი ტაქსომეტრს, ვერ ვნახე დაკარგულიყო, გულამოსკვნილი ვჩიოდი: სადა ხარ შემო სულიყო? გუნდი და გუნდი მგზავრების მწკრივებად ჩასაფრულიყო, ისინიც ტაქსებს ელოდნენ, ხელში ეჭირათ ფულიყო...

ერთ მომლოდინეს ტაქსისას, ვინც მწკრივში საათს სრულ იყო,— გულის ფანცქალით შევკითხე: „ხომ არ გინახავს სულიყო?“

უარის ნიშნად ანაზღად შეიჩხა, თავი დახარა, გადააქნია ხელი და დაბლა ცრემლები დადვარა. მენიშნა მისი პასუხი, ჩემს გულს ნღველი მოედვა, და „ბედით“ უკმაყოფილო მალე გავშორდი მოედანს.

„ძება“ მეორე

მზე ქათქათობდა მცხუნვარე, ცის თაღზე რომ ასულიყო, ზაფხულის სიცხე მხუთავდა, ძლივს მიფეთქავდა „გულიყო“. კოჯორში, წყნეთში ხეები ტევრებად ამოსულიყო, ნიავი ჰქროდა უებრო, წალკოტად მოქარგულიყო. მე ამ საგანზე ოცნებამ გულში განზრახვაც სრულ მიყო, ერთი ოთახის ორდერი ვინატრე, როგორც სულიყო.

თბილისის საბჭოს მიემართე, როგორც მიჯნურმა მთვარესა, და მის ჯანგანყოფილების მე მივაშურე კარებსა.

როგორც ვუხსენე ორდერი, მითხრეს „არა გვაქვს, სულიყო“. შემოწმების დროს აღმოჩნდა რვა თვის წინ გაქაფულიყო.

„ძება“ მესამე

შეყვარებული ვიყავი, მსურდა მენახა სულიყო, ტრამვაის ვაგონს მივადექ ჩიშები მედვა ფულიყო, და მოწმობები: პასპორტი, საბუთი სხვადასხვაგვარი, რომ ავდიოდი კიბეზე, მკერდში მკრეს მუშტი მაგარი, და იმავე წუთში ვილაცამ საფულე ამომაცალა.

შევნიშნე, ლომად ვიქეცი რაც ღონე მქონდა და ძალა,— ვეცი და ხელი გავუქარ მივგვარე მილიციასა, ვთქვი, თბილ ოთახში ამყოფებს, არ მიაკარებს ნიავსა.

ორი დღის შემდეგ შევნიშნე: სუფთა ხელობის „სულიყო“, კვლავ „პრაქტიკაზე“ კიბიდან ვაგონში შემოსულიყო.

კიბეს გავიკარ კვლავ ხელი... საფულე „ამოსულიყო“, გულამოსკვნილი ავტირდი: „სადა ხარ ჩემო სულიყო“...

სიკიბო

დიდ დარბაზში აკაკის ხსოვნისადმი შედგენილ უსაღამო მოეწყო.

— სიტყვა ამხანაგ ბაქიაშვილს ეკუთვნის.— გამოაცხადა თავმჯდომარემ.

კათედრაზე გაჩნდა 30—35 წლის კაცი, უღვაშშეპარსული. მიმინოს თვლებით. წელში მოხრილი. მის სახეზე გლოვის ნაცვლად მედიდურება იხატებოდა.

— ამხანაგებო! — დაიწყო მან: — მე დღეს მინდა ჩემი ყურადღება მიემართო ჩემს მოგონებას აკაკის შესახებ. იგი მე ბავშვობიდან მიცნობდა. მას გაგიყვებით მოსწონდა ჩემი ლექსები. ერთხელ მე და ის მოსკოვში გავემგზავრეთ. ქართული კულტურის სახლი ვინახულეთ. მე იქ ბევრი ნაცნობი ვნახე. სხვათაშორის, გავიცანი ერთერთი კოაპერატიული გამომცემლობის ხელმძღვანელი, რომელმაც გენიოსურ შემოქმედებათ აღიარა ჩემი ლექსები და საჭიროთ სცნო მისი დაჩქარებით გამოცემა სხვადასხვა ევროპულ ენებზე... ეს იყო მისი უკანასკნელი შეხვედრა ჩემთან... მაშინ მე ერთი რომანი დავამთარე და ახალი დრამა დავიწყე, ჩემი დრამის პროექტი ამხანაგებს გავაცანი. ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ... მე მას მოკლე ხანში გამოვაქვეყნებ...

— დამთავრა ბაქიაშვილმა თავისი „მოგონება“ აკაკის შესახებ“ გაისმა ტაში...

აუგუუნდა, დარბაზი... აუდიტორიის „ვაშას“ ძახილმა დაფარა მისი უკანასკნელი სიტყვები.

— სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ბუქიაშვილს.— წარმოსთქვა ისევ თავმჯდომარემ.

— ვაშა! ვაშა! — გაისმა ტაშის ცემა ერთი კუთხიდან, სადაც ბუქიაშვილის მეგობრები ისხდნენ.

— მე, — პოეტი, რომანისტი, სცენარისტი, დრამატურგი და კრიტიკოსი ვალდებულად ვთვლი თავს გაგაცნოთ ჩემი მოგონება აკაკის შესახებ მე მუდამ ჩემებური განცდით ვითვალსწინებ ამათუიმ შემოქმედის სულის სიმღერას. მე, როგორც კლასიკოსი ქართული სიტყვის ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილება აკაკის მოგონებასთან დაკავშირებით. მე მან პირველად თეატრის კიბეზე მნახა. შემდეგ მე ის ლენინგრადში შემხვდა. მე ეხლაც მახსოვს მისი ჩემთან შეხვედრა... მე მაშინ ნევის ნაპირზე ვასვენებდი ჩემს აღმოსავლეთის გუზგუზა მზის ელვარებით ანთებულ თვლებს. ჩემი ფიქრები მაშინ ზღვის ქაფის საშოდან გამოსულ ვენერას ნაწნავების გარხევას გავდა... და სუნთქვხ ჩემი იყო, მიძიმე და მალი... მე მაშინ თვალი ჩემი ნევის მეორე ნაპირს დავასვენე... გაღმით ჩემს პირდაპირ ქვაზე ჩამოვდა ჩაფსკვნილი, მანდილოსანი, რომელმაც თეთრი გედვიით ფეხი წყალში ჩაასვენა, გაარხია და ფეხი წარმტაცი იგი ფეხზე გადიკვანტილა, უცებ მე დავინახე და წყალში დავინახე სახე ჩემი... და მზერა ჩემი გავდა ჯადოსნურ გამოხედვას ვნებით აღტყინებულ ჭაბუკ გოეთესას და ჩემს სხეულში აჩქედდა სისხლი, სისხლი ჯადოსნურ ფსიქეას მტევენებით დამთვრალი ეროსისა... ასეთი იყო პოეტის შეხვედრა ჩემთან... — დამთავრა მან.

— სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ყინწაძეს. — გამოაცხადა ისევ თავმჯდომარემ.

მე დავიხურე ქული და გარეთ გამოვედი. ვიცოდი, რასაც იტყოდა...

ნახ. დონისა



— ეს გაუმარჯოს უკვდავ აკაკის, რომელიც საფლავიდანაც ვეცხმარება და კაი-კაი შემოსავალს არ გვაკლებს.

თქვენ წარმოიდგინეთ...

რას არ წარმოიდგენს ადამიანი! ამასწინათ ერთერთ გამომცემლობაში შევიარე. ისე შევიარე, შემთხვევით. არაჩვეულებრივი ფუსფუსი იყო: აქ თავმოყრილ პოეტებს, პროზაიკოსებს, კრიტიკოსებს და მათს მონათესავე „სებს“ ამჯერად პონორარი არ აწუხებდათ. ყველანი ერთს საქმეში იყვნენ გართულნი: წინ მრავალფორმიანი წიგნი ელოთ და ერთხმად აქებდნენ: — იფ! იფ! რა შესანიშნავია! — ამბობდა ერთი. — ბევრი ინატროს — ველარ დასწეროს! — „სიტყვაძუნწობდა“ მეორე. „ალბათ ამ გამომცემლობის რომელიმე შტატის თანამშრომლის წიგნია! რას არ წააწყდება კაცი!“ გავიფიქრე გულში და წინ წავიწიე. საწინააღმდეგო რამ ვნახე: ჩემ წინ აკაკი წერეთლის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული აღმოჩნდა, გამოცემის მხრივ ჯერ დაუმთავრებელი, დაუკანავი. და უტბად უტნაურ ფიქრებში გადავიჩხვებ: წარმოვიდგინე, რომ სასწაული მოხდა და აქ, გამომცემლობაში პატივცემული იუბილარი შემობრძანდა. აკაკი წერეთელზე მოგახსენებთ, ჩვენს სასიქადულო მგოსანზე! შემობრძანდა და თქვენც წარმოიდგინეთ: გამომცემლობის გამგეს მთავებუხი დაეჯახა, ხელიდან ის წიგნი წაართვა ზემოთ რომ ვახსენეთ, სუფთა ქალაქი გადაათარა და დამალვა მოიწადინა. — რას სჩადიხარ! — აღმფოთებით მიმართა ერთ-ერთმა პოეტმა. — პონორარი რომ მოითხოვოს? — განცდით თქვა მთავებუხმა. — რას ლაპარაკობთ, — დამადანტურებელი ტონით დაიწყო მეორე პოეტმა, ამხანაგი აკაკი სრულიადაც არ ყოფილა პონორარს ჩვეული; ესეც არ იყოს, რა საკადრისია, ეგეც ხომ სხვებსავით არ არის, რასაც შეაძლებ — იმას დასჯერდება, მას ვაჭრობა მოასოდეს არ ჰყვარებია...

მთავებუხმა ქალაქები გადაჰხალა წიგნს...
 ერთი ახალგაზრდა პოეტი ჯიქურ ეკვეთა მგოსანს და მოახსენა:
 — ბოდიში მინდა მოვიხადო თქვენთან, დიღო მგოსანო.
 — რამ შეგაწუხათ? — იკითხა აკაკიმ.
 — იმან, რომ თქვენი ლექსებისთანავე ეს ვერ წერს და... პასუხი დაასწრო მეორე თაობის კრიტიკოსმა.
 — მერე, ეგ რა საბოდიშოა?! — განცვიფრდა დიდი მგოსანი.
 — არა, საქმე მაგაში არ არის, — თქვა ისევ ახალგაზრდა მწერალმა და აკაკი კრიტიკოსისაგან განზე გაიხმო. — საქმე იმაშია, რომ მე თქვენი რამოდენიმე ლექსი იმასვექენი... გადავიწერე და ჩემად გავასალე...
 აკაკის გაელიმა:
 — რა უშავს, კარგი გემოვნება გქონია.
 ამ ლაპარაკში ერთ ღრამატურგს, თვალი ვერ მოვკარი — ისე გაიბარა.
 ერო-ერთ კრიტიკოსს, შემთხვევით, პატიოსნების ადამიანურმა გრძნობამ უთაქა ქეჩოში და აკაკის წინ თავი დაახრევინა:
 — ნება მომეცით ცოდვები მოვიწინაო. —..— მიჰმართა მან აკაკის.
 — რაზე გასჯილხართ?
 — იმაზე, რომ ერთ ღროს თქვენი ლანძღვის მეტს არაფერი ვაკეთებდი და...
 — მერე? რა გამოვივიდა?
 — არაფერი.
 — მეც ასე ვიცოდი, თავიდანვე ვიცოდი. ბოდიში მე მაქვს თქვენს წინაშე მოსახდელი, რომ ამდენი იწვალეთ და არაფერი გამოვივიდათ. — ირონიულის ღიმილით აბატია აკაკიმ კრიტიკოსს.
 ამ ღროს ერთ-ერთი სახელმძღვანელოც ავტორმა ხელიდან მაკრატელი გააგდო, რაღაც უამრავი ფურცლები მიმოაბნია, მოკურცხლა, გზა რომ ვერ იშოვნა რამოდენიმე კაცი გადათელა და უკანასკნელად მეც დამეჯახა...
 გამოვერკვიე და გული დამწყდა: კიდევ რამდენ რამეს წარმოვიდგენდი, იმ სახელმძღვანელოს ავტორს რომ არ შეეშალნა ხელი!
 მაგრამ რას იზამს კაცი, დანარჩენი... თქვენ წარმოიდგინეთ!..
გია.

რა რჯულის ცხოველი არის, ჩვენთან ვინ გააწესაო? (გაფლანგვალეას, მავნებლეას, ზარმაცებს გადაგვარებულეას)



.....როგორღაც კეთილ სულს არ ჰგავს, ჰირი არის და სენიო! აპაქი 13



— პატარა კახი გინახავთ?
— ზევრჯერ ძალიან. თელავში ვმსახურობდი, სასკოლო მასაჯა მღე აღზრდის ინსტრუქტორად და სულ პატარა კახელებს, ვ. ი. 4—6 წლის ბავშვებს ვნაზულობდი.

აკაკის პავაია შედეგონი

სატირავ;
პოლიტიკური, საპამფლეტო ხასიათის სარ-კასტიული ლექსები.
ეს ერთ-ერთი შესანიშნავი ხერხია აკაკის საფელეტონო ენარს რომ ახასიათებს.
ამ ენარის ერთ-ერთი ფელეტონი აკაკიმ მოათავსა „დროების“ 240 №-ში, 1878 წელს — სათაურით „სხვადასხვა ტომი“.
„ნიანგის“ მკითხველთათვის გასაცნობად, ვათავსებთ ამ ფელეტონის ნაწილს.

რედაქცია.

სხვადასხვა ტომი

მაღალმა ღმერთმა ხელახლა
კაცს დაუბრუნა ედემი,
სადაც ცხოვრობდა ცოდვამდი
პირველი მამა ადამი.
ყოველი მხრიდან მოატყდა
ადამის ტომი სამოთხეს:
გაიყვეს, გაინაწილეს
დასახლდენ თავ-თავის კუთხეს.
ყოველმა ერმა თვის კუთხეს
უნდა სდვა კილო და კვალი

და ვინც აჯობებს იმათში,
იმას აკურთხებს უფალი.
ინგლისი
ინგლისელებმა შევენებას
არ მიაქციეს იქ ყური,
აჰკაფეს ვარდი და ია,
ნაცვლად დათესეს ზედ პური.
მთები გახვრიტეს, კლდე აპეს
ზღვა ზღვას შეურთეს არხითა
და ააბრუნეს ქარხნები
სხვადასხვა გვარის ჩარხითა.
ამართეს ღროშა მუღამი
ზედ ეს დასწერეს სიტყვები
„მხოლოდ შრომა და ვაჭრობა,
სხვას ქვეყნად არას მიყვები“.
და თავმოწონენ ამყად
ის ღროშა ხელში იჭირეს
სხვის თვალში ბეწვსა სწუნობენ
თვისაში იჭებენ ღირეს.

ქართველელი

ქართველნი როცა შევიდენ
და თავის კუთხე მონახეს,

ყურთმაჯი მაღლა შეაგდეს
და ალტაცებით დასძახეს
„შენი გამჩენის ჭირიმე,
ცხოვნება ეს ყოფილოა,
ზაფხულში საამოდ გრილა
ზამთარში კარგათ თბილაო.
ამართეს ღროშა მაღალი
ოქრო მკერდითა ნაკერი,
გამოეხატათ ზედ ჯვარი
და ქვეშ ეს იყო ნაწერი:
„მოყვრისთვის თავის გაწირვა
და მეგობრული ვალიო
მტრისათვის მოსაგერებლად
ბასრი შიშველი ხმალიო“.
ასე დასწერეს, მაგრამ კი
ისინი ძილმა წაიღო
და მათი კარგი ყოველი
ჩხიკვა და ყვაკვა გაიყო.
ჯერ ცუდი სანახავია
იმათი მხარე მძინარი,
მაგრამ თუ გამოიღვიძეს
ბედი იმათი წინ არი.

პიკაპი იუმორისგული ჟურნალი აკაკის კარაქმოკობით

ეროვნული
კულტურის

მე ვწერ „ქართული იუმორის ისტორიას“. ამ ჟანრის სათავეები შორეთის ეკუთვნის. ის მცირე ადგილი, რომელიც დამითხო „ნიანგის“ რედაქციამ, ნებას არ მძლევს უფრო დაწვრილებით შევიჩვიდე ძველ წყაროებზე: აქ არ ვლამაზობ ჩვენი მუხუჭების ხელნაწერ მასალებზე, საბა სულხან ორბელიანზე, „კვალის“ იუმორისტულ განყოფილებაზე, (1893). ძველი გაზეთების „პატარა ფელეტონებზე“, „გაზეთი გაზეთში“-ზე, ჩვენებურ რამე-რუმეზე „ცნობის ფურცელის“ დამატებაზე (დაარ

„ხუმარას“ პირველი ნომერი თამამი ტონით გამოვიდა და ბევრიც გაჰყენდა. „ხუმარა“ არავის არ ერიდებოდა, თუ 1905 წელს მასალა, ხელთნაწერის სახით ჯერ ცენზურას უნდა გაეხილა და მერე აწეობილიყო, 1907 წელს. ცენზურა უკვე დაბეჭდილ ჟურნალს კითხულობდა და თუ ასაკრძალავი იყო, ჟურნალის გაყიდვას აბრკოლებდა და რედაქტორს ან აპატიმრებდა, ან სასამართლოში აძლევდა. ერთი სიტყვით, ჟურნალის გამოშვება „მოსწრებაზე იყო“ და მერე რაც იქნებოდა — იქნებოდა: „ანასუნი მის საქმეს“-ო იტყვოდა აკაკი აკაკიძემაც მოასწრო „ხუმარას“ ერთი ნომრის გამოშვება და... მიჰყეტეს კიდევ.

აი, „ხუმარას“ დაკეტვის მოკლე ისტორია: „ხუმარას“, პირველ გვერდზე დანატული კარიკატურა ეგებოდა ტფილისის გუბერნატორს რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგს. ფონ-რაუში ერთი რაღაც ქარაფშუტა იყო, გარდა ამისა, უყვარდა „ჩაღლევა“, და როცა ღვინო თავში შეუჯდებოდა, ათასგვარ უტაქტობას სჩადიოდა...

1906 წელს მცხეთის საგარეულო აკლამაში ასულა-ეგბდენ რომელიღაც ბაგრატიონს, დაკრძალვას ფონ-რაუშიც დაესწრო. დაკრძალვის შემდეგ, რასაკვირველია, გაიმართა ჩვეულებრივი ქელღნი! ფონ-რაუში ძალიან გამხიარულდა, ღვინომ გონება გაუფიცა და ქელღნი „მრავალქამიერი“ შემოსახა. ჩვენს გუბერნატორს ეგონა, რომ ქართველები ყველგან და ყოველთვის, ჭირში და ლხინში, ამ ტრადიციულ „მრავალქამიერს“ მღეროდნენ. ამ ამბავმა ქათველებში უსიამოვნება დაბადა.

სწორედ ამ ხანებში სამხედრო ტაძარში საიმპერატორო გვარეულობის რომელიღაც წევრის პარაკლისის იხდიდნენ. მთელი გენერალიტეტი იქ იყო. საზოგადოთ ამისთანა შემთავებებში ტაძრის არენაზე ყოველთვის პირველ პლანზე ჯერ ტფილისის თავადანაზურთა წინამძღოლი უნდა მდგარიყო. მერე გუბერნატორი და ა. შ. ფონ-რაუშმა მონიშნა ყველაზე წინ დადგომა და თავადანაზურთა მარშალს გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილს წინ აეტუხა: ბაგრატიონი წინ ჩამოუდგა, რაუშიც წინ წავიდა და კვლავ აეფარა ბაგრატიონს. ერთი

მოსართმევედ, ბაგრატიონმა საჯაროდ ხელი აუწია რამო-ართვა და ხურგი შეაქცია. აქედან დაიწყო მათი უმძრანობა, საქმე თითქმის დუელამდე მივიდა, ეს ამბავი ვარანცოვ-დაშკოვმაც გაიგო და... შედგვი ის იყო. რომ რაუში გადაყენებულ იქნა თავისი თანამდებობიდან. აკაკიმ თავისი ჟურნალის პირველ ნომრისთვის ეს პირადული ინციდენტი გამოიყენა და საზოგადო ხასიათი მისცა. რედაქტორმა მუშა მხატვარ გიგო ხაზიაშვილს დაანატურა კარიკატურა. სადაც ერთმხარეს სა-



„ხუმარა“ ერთი ნომერი პარტიის ორგანიზაცია...
„ხუმარა“ ერთი ნომერი პარტიის ორგანიზაცია...
„ხუმარა“ ერთი ნომერი პარტიის ორგანიზაცია...



„ხუმარა“ ერთი ნომერი პარტიის ორგანიზაცია...
„ხუმარა“ ერთი ნომერი პარტიის ორგანიზაცია...
„ხუმარა“ ერთი ნომერი პარტიის ორგანიზაცია...

სდა 1901 წელს) და სხვ. ჩვენ მხოლოდ გვინდა შევიჩვიო-დეთ პირველ იუმორისტულ და პერიოდულ ჟურნალ „ხუმარა“-ზე, რომლის რედაქტორიც იყო ჩვენი დიდი პოეტი აკაკი წერეთელი (გამომცემელი მ. ვახეჩილაძე).

აკაკის „ხუმარას“ გამოცემის აზრი პირველად 1905 წელს დაჰბადებია, ჩვენს ხელთ არის სულთან კრიმ-გირეის ხელმოწერილი ქაღალდი, საიდანაც სჩანს, რომ აკაკის ნება ეძლევა გამოსცეს ტფილისში ყოველკვირული ჟურნალი „ხუმარა“ მასალის წინასწარ ცენზურაში წარდგენით. ეს ნებართვა დათარიღებულია 1905 წ. 27 სექტემბრით.

აკაკიმ თავისი განზრახვა მხოლოდ 1907 წ. განახორციელა. „ხუმარა“ არ იყო რომელიმე პარტიის ორგანო, ხუმარა აცხადებდა, რომ იგი ყველას მიიღებს თანამშრომლად. აი ეს განცხადებაც: „... ხუმარა ერთ რომელიმე პარტიის ორგანი არაა, ისაა კარლია გაზეთი. აზრთა შეჯახება — აი რაა ჭეშმარიტების გამომრკვეველი. დეგ, დაეჯახონ სხვადასხვა მიმართულებების შეხედულებანი ერთმანეთს — ეს საჭიროა და კარგი „მოყვარეს პირში უძრახე“ თუ ხნეობრივი სიბრტე „შტერს რომ პირში უძრახო“ ეს ხომ კიდევ მეტი ხარისხის სიბრტე იქნება“...

ასე და ამგვარად „ხუმარას“ კარი ყველასთვის იყო ღია...

„ხუმარა“ თანამშრომლებს პირობასაც ჰპირდებოდა აკაკიმ თავის „ხუმარაში“ პირველად გააცოცხლა ორი ქართული ხუმარა — ბენია და ბუშტია. მსგავსად „კვალში“ დანატულ ოვანკასა და გოჯასპირისა. აკაკიმ ბენიასა და ბუშტიას დიდილოებში გადაიტანა მაშინდელი ყოველდღიური მტკიცებელი საკითხები... აკაკის აზრით, ბენია ქართულია (კუხიანი), ხოლო ბუშტია — იმერელი (კოკლი). აკაკის „ხუმარაში“ ბენია და ბუშტია აცხადებენ, რომ ჩვენ ხალხის ხინჯსა და ნაკლებე უღილაპარაკებთ, არავის არ მოვერიდებით და ყველა უღირს ადამიანს უღევს აუწვევთ (ძველად სასჯელის ნიშნად დამნაშავეს უღევს აუწვევდნენ, რაც პირში ჩაფურთხებას უღიროდა!...



აკაკის მოგზაურობა.
(„ხუმარა“ რედაქციის რედაქციონი.)

სიტყვით გაჩაღდა ბრძოლა „პირველობისათვის“... (აქვე უნდა ითქვას, რომ ძველად თავად-ანაზურთა მარშალს დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული). ბაგრატიონი ისედაც გულ-ანზრევილი იყო ამ გუბერნატორის მიმართ, ვნლა ეს ეტიკეტის დარღვევაც ხედ დაემატა და როცა პარაკლისის გათავების შემდეგ, ფონ-რაუშმა ბაგრატიონ-დავითაშვილს ხელი გაუწოდა ჩა-

ხედარია დანატული გუბერნატორ რაუშის ტანსაცმელით მეორე მხარეს — მარშალი ნიშადურს უღესავს, ხოლო ამ ამბის მყურებელი კინტო სიცილისაგან იტაქებდა ამ კარიკატურას აკაკიმ შემდეგი ლექსი წააწერა:



„დიდ-კურანთ ყოყონიას ჩვენები ეჯავრება, საიდანაც მოსულა, იქით მიეჩქარება და ნიშადურს უღესავს გულმოსული მარშალი. რომ აქ აღარსად დარჩეს იმ ვირის გზა და კვალი. კინტო კი გაცივებით შესცქერია ამ ამბავს და ხმა მალლა იძახის: — ამოუსვით რაუშავს“

ეს ხაზგასმული სიტყვა არ გამოეპარათ და ჟურნალის აკრძალვასთან ერთად რედაქტორი დააპატიმრეს. ეს მოხდა 1907 წელს, 16 თებერვალს.

საინტერესოა ერთი ეპიზოდიც: როცა აკაკი ციხეში მიიყვანეს, მთელი ციხე აფორიაქდა... პატიმრები, განურჩევლად მათი დანაშაულის ხასიათისა, დემონსტრაციულად გამოვიდნენ ციხეში, ჰყვიროდნენ, მთელ ციხეს ახანზარებდნენ, და მოითხოვდნენ საყვარელი პოეტის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ეს პროტესტი სამხედრო გუბერნატორის კომოფენის ყურამდეც მივიდა კანცელარიის გაძვის ვასილიევის მოხსენებისთანავე. ტიმოფეემა გასცა განკარგულება აკაკის განთავისუფლებისა, ქაღალდი დაბრინებისას მივიდა ციხეში, აკაკიმ არ მოისურვა ღამით გამოსვლა (ციხიდან: „არა, ქაჯან ნუ მაწუხებთ, ამალამ აქ დავრჩები და სვალ დილით წავალ“ და მერეც დღეს მართლაც დიდის ხეიმზარით გამოისტუმრეს ტუსალებმა პოეტი.

ნამდვილად აკაკი სულ ერთი საათით იყო დაპატიმრებული.

ი. გვირაზვილი



ნახ. ღოზენსა

გაბტკიცლით თქვენი ჰირიმა...

ამ დღეს ველოდი, მოვესწარი..
ვიცინი, აღარ ვტირი მე,
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით თქვენი ჰირიმა.